პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე ჩასარიცხად აუცილებელი პირობაა რუსული ენის ჩაბარება და მაქსიმალური ქულის 50 % -ის ან მეტის მიღება.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხ. 52);

პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე;

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩასარიცხ ან გადმოყვანის წესით ჩასარიცხ აპლიკანტს მოეთხოვება რუსული ენის ცოდნა B2 დონეზე. ენის ფლობის დასადასტურებლად აპლიკანტი აბარებს გამოცდას სტუ-ს ტესტირების ცენტრში. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, აპლიკანტი გადის გასაუბრებას კომისიასთან. აპლიკანტს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს რუსულ ენაზე ან წარმოადგენს რუსული ენის B2 დონეზე ფლობის სერთიფიკატს, გამოცდასა და გასაუბრებაზე გასვლა არ მოეთხოვება.

საქართველოს მოქალაქეებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

პროგრამის მიზანია: ჟურნალისტიკის არსის, მისი ძირითადი მახასიათებლების, პრინციპების, ღირებულებების, მცოდნე ფართო პროფილის (ბეჭდური, რადიო, ტელე, ონლაინ, ინტერნეტ) სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს თანამედროვეობის აქტუალური ფაქტების, მოვლენებისა და პრობლემების ჟურნალისტურ ფაქტად გადაქცევას, საერთაშორისო და საქართველოს ეთიკური, სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით შეფასებას და კომენტირებას;
მედიაწიგნიერების, თანამედროვე ჟურნალისტიკის გამოწვევების, ჟურნალისტური ეთიკის, ჟურნალისტის პროფესიული შრომის ბაზრის პრობლემათა თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების სწავლება.
თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ბეჭდური, სამაუწყებლო და ახალი მედიისათვის მედიაპროდუქციის დაგეგმვის, მომზადების, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციის უნარების გამომუშავება.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)
1. აქვს ფართო ცოდნა ქვეყანასა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენების გაშუქების, კომენტირება-ანალიზის, მედიის მარკეტინგული და სარეკლამო სტრატეგიის შემუშავების, მიზნობრივი დაგეგმარების მეთოდების შესახებ.
2. აკავშირებს მედიის ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს რეალობის ობიექტური სურათის შექმნის მიზანთან.
3. ამყარებს ეფექტურ წერილობით და ვერბალურ კომუნიკაციას პროფესიული ჯგუფის,

მასობრივი, ინტერ და ინტრაპერსონალური ურთიერთობების დონეზე. **4. აგებს** მიზნობრივ ჟურნალისტურ ტექსტებს როგორც დამოუკიდებლად, ისე წყაროებისგან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპის გათვალისწინებით. **5. ქმნის** მედიაპროდუქციას ახალი (ციფრული ფოტო-აუდიო-ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკა) და მულტიმედიური ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. **6. აკეთებს** ფაქტისა და მოვლენის ობიექტურ ინტერპრეტირებას და გამოაქვს ზოგადი და კონკრეტული დასკვნა მოძიებული ინფორმაციის კრიტიკულად დამუშავების შედეგად. **7. ახორციელებს** პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. **8. განსაზღვრავს** საკუთარი სწავლის მიმართულებას ჟურნალისტური პროფესიული ოსტატობის სტანდარტების ცოდნის მნიშვნელობის გაცნობიერების საფუძველზე; **9.** მაღალი ხარისხით **წარმართავს** პროფესიულ საქმიანობას სარწმუნოობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით და დემოკრატიულ და ჰუმანისტურ ღირებულებებზე დაყრდნობით. **10. აცნობიერებს** ჟურნალისტის სოციალურ პასუხისმგებლობას ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებასთან, საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენასთან და ასევე სტუდენტის ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოცემულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში https://gtu.ge/students/edu/forms.php

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესი განთავსებულია ვებგვერდზე https://gtu.ge/pdf/forms-instructions/bach-thes-template.pdf

საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე
https://gtu.ge/pdf/forms-instructions/bach-res-project1.pdf

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ფილოსოფიის საფუძვლები	3

2	ფსიქოლოგიის შესავალი	3
3	კომპიუტერული უნარები	5
4	საქართველოს ისტორია და კულტურა	5
5	წერითი და ზეპირი კომუნიკაცია	5
6	უცხოური ენა - B 1.1 (არჩევით ერთ-ერთი ენა)	
6.1	უცხოური ენა (ინგლისური) - B1.1	5
6.2	უცხოური ენა (გერმანული) - B1.1	
6.3	უცხოური ენა (ფრანგული) - B1.1	
7	კომუნიკაციის თეორიები და მოდელები	4
8	ზოგადი სოციოლოგია	3
9	აკადემიური წერის ელემენტები	3
10	უცხოური ენა - B 1.2 (არჩევით ერთ-ერთი ენა)	
10.1	უცხოური ენა (ინგლისური) - B1.2	5
10.2	უცხოური ენა (გერმანული) - B1.2	
10.3	უცხოური ენა (ფრანგული) - B1.2	
11	ჟურნალისტიკის საფუძვლები	5
12	PR-ის საფუძვლები	4
13	მასმედიის ისტორია	5
14	თანამედროვე საზღვარგარეთის ჟურნალისტიკა	4
15	უცხოური ენა - B 2.1 (არჩევით ერთ-ერთი ენა)	
15.1	უცხოური ენა (ინგლისური) - B2.1	5
15.2	უცხოური ენა (გერმანული) - B2.1	
15.3	უცხოური ენა (ფრანგული) - B2.1	
16	ეკონომიკური თეორიის საფუძვლები	6
17	რუსული ენის პრაქტიკული სტილისტიკა	5
18	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	5
19	უცხოური ენა - B 2.2 (არჩევით ერთ-ერთი ენა)	
19.1	უცხოური ენა (ინგლისური) - B2.2	5
19.2	უცხოური ენა (გერმანული) - B2.2	
19.3	უცხოური ენა (ფრანგული) - B2.2	
20	ანალიტიკური ჟურნალისტიკა	5
21	ჟურნალისტის პროფესიული ოსტატობა	5
22	მედიამენეჯმენტი	5
23	ბეჭდური მედიის ტექნოლოგიები	5

24	ჟურნალისტიკის სოციოლოგია	5
25	სამეტყველო კონფლიქტოლოგია	5
26	მედია და პოლიტტექნოლოგიები	6
27	სოციალური მედია	4
28	სამაუწყებლო მედია	5
29	ორატორული ხელოვნება (საჯარო კამათის ტექნოლოგიები)	4
30	ფოტო-ვიდეოტექნოლოგიები	4
31	საგამოძიებო ჟურნალისტიკა	5
32	ჟურნალისტიკის სამართლებრივი საფუძვლები	4
33	რეკლამა ჟურნალისტიკაში	5
34	მედიაპროდუქციის რედაქტირება	4
35	საინფორმაციო-პროპაგანტისტური ომები	4
36	ექსტრემალური სიტუაციების ჟურნალისტი	4
37	მედიის კვლევის ელემენტები	5
38	სასწავლო პრაქტიკა (რადიო)	5
39	ეკოლოგიური ჟურნალისტიკა	4
40	კონვერგენტური ჟურნალისტიკა	4
41	ჟურნალისტის პროფესიული ეთიკა	4
42	თანამედროვეობის პრობლემატიკა მასკომუნიკაციაში	4
43	კომპიუტერული ვიდეომონტაჟი	4
44	სასწავლო პრაქტიკა (ტელე)	5
45	საბაკალავრო ნაშრომი	6
46	არჩევითი სასწავლო კურსები	
46.1	კულტუროლოგიის საფუძვლები	5
46.2	ქართული ენა – 1	
46.3	ემიგრანტული ჟურნალისტიკა	
47.1	ქართული ენა – 2	5
47.2	მედიალინგვისტიკის ელემენტები	
47.3	კულტურათაშორისი დიალოგის ჟურნალისტიკა	
48.1	ქართული ენა – 3	

48.2	კულტურის ანალიზი და რეპრეზენტაცია მასკომუნიკაციებში	5
48.3	კადრის კომპოზიცია	
49.1	ქართული ენა – 4	5
49.2	Lifestyle ჟურნალისტიკა	
49.3	საქმიანი ჟურნალისტიკა	
50	თავისუფალი კომპონენტები	15